




საქართველოს მთავრები



Nº12 (386)

3 აპრილი, ორშაბათი, 2023 წელი

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა



სურამში ინფრასტრუქტურული პროექტები კვლავ გრძელდება

სურამში, ბარათაშვილის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი აქტიურ რეაქტორი მიმდინარეობს. პარალელურად, აღმაშენებლის ქუჩაზე ორმოული შეძენება ხორციელდება.

სამუშაოების მიმდინარეობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენ-გზიზე ჩიტიაშვილმა, მოადგილე ზვიად ქურდაძესთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელ გიორგი პაპიაშვილთან ერთად დათვალიერდა.

ბარათაშვილის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის განხორციელების შედეგად 200-ზემეტყ ადგილობრივის გადაადგილების პირობები გაცილებით უსაფრთხო და კომფორტული გახდება, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება. მისი დირექტორია 84 777 ლარია.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, სურამში ქაშების ორადილ-იტაციის პროცესი, სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად, შეუქცევ-ადად გაგრძელდება, რაც სელს შეუწყობს დაბაზი ტურიზმის განვითარებას და სარგებელს მოუტანს ადგილობრივ მოსახლეობას.

ხაშურის მუნიციპალიტეტში სკვერების,
მინისტადიონების და სხვა დასასვენებელი
სივრცეების მოწყობა აქტუალ რეჟიმში
მიმდინარეობს.



ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა მოადგილე ზვიად ქურდაძესთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელ გორგი პაპიაშვილთან ერთად სურამში, 9 აპრილის ქუჩაზე სკვერი და მინი სტადიონი, ასევე ხაშურში, ფარნავაზის ქუჩაზე სკვერი და მინი სტადიონი დაათვალიერა.

დაბა სურამში სკვერის მოწყობის პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდა. პროექტის ღირებულებამ 263935 ლარი შეადგინა. ადგილობრივი ბიუჯეტის მხარდაჭერით მოწყო სკვერის მიმდებარე

27 მარტს, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტეგლიანი უძღვებოდა.

საკრებულომ, ხმათა უმრავდესობით, დაამტკიცა დადგენილების პროექტი „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის ამ სამართლებრივი აქტის შესრულებლების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

იმავე სხდომას ხე საკრებულომ მოისმინა სოფლის მეურნეობის ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის უფროსის ჯემაღ გელაშვილის ინფორმაცია სოფლის მეურნეობის მიმდინარე პროგრამების შესახებ.



მინისტრადიონიც, რისთვისაც 119 919 ლარი დაიხსარჯა.

ადგილობრივმა ბიუჯეტმა დააფინანსა ხაშურში, ფარნავაზის ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულებამ 259 457 ლარი შეადგინა. 114 920 ლარი დაიხარჯა ფარნავაზის ქუჩაზე, სკვერის მიმდებარედ მინისტა- დიონის მოწყობისთვის.

სკვერების, მინისტრადიონების და დასახვენებელი სივრცეების მოწყობა
მუნიციპალიტეტში ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას
და ტურიზმის ხელშემწყობ ერთ-ერთ დამატებით ფაქტორსაც წარმოადგენს.

ათოვეულისება.
ასე რომ, მუნიციპალიტეტს
უახლოეს მომავალში ცხოვრების ჯანსაღი
წესის და აქტიური დასკვერების
სელად შესაწყობად არაერთი
სივრცე შეემატება, - აღნიშნა
მუნიციპალიტეტის მერმა თენის
ჩიტიაშვილმა



(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბბ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. #1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32,33,34,35,36,37,38,39,40,41,46,47,48,49,50. 2023 წ. #1,2,3, 7, 8, 9, 10, 11)

გ. ოომაძე ავტორია საბავშვი წიგნებისა: „ვარსკვლავების მხატვარი“ „ანუკას ფიქრები“, „ბეჭითი ნანული“, „ოქროს ბურბულება“, „წყაროსთან თეთრი ქვებია“ და სხვა.

მარგო თომაძის ძმა, — პეტრე თომაძე, — ცნობილი მომღერალი იყო. იგი ხაშურში დაიბადა 1917 წელს. დაამთავრა ხაშურის I საშუალო სკოლა, ხოლო 1941 წელს თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. სწავლის პერიოდში პ. თომაძე მღეროდა უნივერსიტეტის ქაბელაში და წარმატებით გამოიდიოდა კონცერტებზე. ერთ-ერთ კონცერტზე მას მოუსმინა საქართველოს სახალხო არტისტმა მ. ყვარელაშვილმა, რომლის დახმარებითაც იგი მეცადინეობას იწყებს კონსერვატორიის პროფესორთან ოლდა შედეგინა-ბახუტაშვილთან. იგი მაღლა შესიკადურ ტექნიკუმში ჩაირიცხა ვოკალურ განყოფილებაზე. ერთი წლის შემდეგ, 1939 წელს კი კონსერვატორიაში აგრძელებს სწავლას იმავე განყოფილებაზე.

1941-45 წლებში პ. თომაძე დიდ სამამულო ომშია და ბრძოლით განცვლო გზა ბერლინამდე. 1946 წელს პ. თომაძე სწავლას აგრძელებს კონსერვატორიაში

პროფესიონალურ სანდრო ინაშვილის კლასში. 1951 წლიდან 1976 წლამდე არის ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი. იგი ითვლებოდა ბანის პარტიების ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად. კონცერტებით გამოდიოდა სხვადასხვა ქალაქებში.

1961 წელს პ. თომაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება. 1976 წლიდან იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილის №2 მუსიკალურ სასწავლებელში.

გარდაიცვალა 1995 წელს.
ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი მაარა პეტრე ასული თომაძე დაიბადა ხაშურში 1954 წელს. 1971 წელს დაამთავრა ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი, 1976 წელს - ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. 1976-80 წლებში იყო ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. 1980-83 წლებში მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტ-სტაჟიორია, 1983 წლიდან კვლავ თბილისის ოპერის თეატრშია. 1984 წელს მიენიჭა საქ. სსრ დამსახურებული არტისტის, ხოლო 1986 წელს საქ. სსრ სახალხო არტისტის წოდება. 1986 წელს ესპანეთში გამართულ ფ. ვინიასის სახელობის კოკალისტით საქორთულო კონკურსზე დაიმსახურა გრან-პრი, I ადგილი და ოქროს მედალი.

1989 წლიდან მ. ოომაძე ვ. აბაშიძის სახელმის მუსიკალური კომედიის თატრშია. მ. ოომაძეს შესრულებული აქვს პარტიები სპექტაკლებში: მოცარტის „დონ-ჟუანი“, ზ. ფალიაშვილის „აბესლომ და ეთერი“, პ. ჩაიკოვსკის „გვგენინგენი“, ჯ. ვერდის „აიდა“, „დონ კარლოსი“, ს. პროკოფიევის „სამი ფორთოხალის სიუვარული“, კაპუშინის „ანულიკა“ და სხვა.

გასტროლეგბი ჰქონდა ესპანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში (1987), იაპონიაში, ფინლანდიაში, ესპანეთში, ავსტრიაში (1988).

მ. ოქმადე 1990 წელს არჩეული იყო საქართველოს უზნენაეს საბჭოს დეპუტატიდ. გარდაიცვალა 1994 წელს.

გია დავითის ძე ომაძე დაიბადა ქ. ხაშურში 1955 წელს. დაამთავრა ქალაქის III სამუალო სკოლა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1978), იყო რესპუბლიკური საავადმყოფოს განყოფილების ინტერნი (1978-79), ქირურგიის საკავშირო სამეცნიერო ცენტრის კლინიკური ორგანიზაციისა და ასპირანტი (მოსკოვი, 1979-84); მოსკოვის მე-20 საავადმყოფოს ბაზაზე არსებული სანაღვები გზებისა და პანკრეასის გადაუდებელი ქირურგიისა და პორტული ჰიპერტენზიის კათედრის ასუებისმგებელი ქირურგი (1984). აშშ-ის მინესოტის უნივერსიტეტის ქირურგიული კლინიკის სამეცნიერო სტაჟიორი (1988-89). არის თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე არსებული თსეუ ქირურგიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი და პროფესორი (1984 წლიდან); თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე არსებული ზოგადქირურგიული კლინიკის და სამედიცინო აკადემიის გადაუდებელი ქირურგიის ცენტრის პროფესორი (1996); არის თსეუ პოსტ-დიპლომური სწავლების გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე. დაცული აქვს საკანდიდატო (მოსკოვი 1983); სადოქტორო – შესრულებული კლინიკურ-ექსპერიმენტული კვლევის შესახებ, რომელიც შეეხება პანკრეასისა და თირკმლის გადანერგვას (აშშ, 1993). არის 2 გამოგონების, 7 რაციონალიზატორული წინადაღებისა და 115 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მიღებული აქვს საბრძოლო დიდების მედლები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში ქირურგად მონაწილეობის გამო (აფხაზეთი) და გრ. მუხადის სამასესოვრო მედალი სამამულო ქირურგიის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის. არის ქირურგთა ინტერნაციონალური კოლეჯის საქართველოს სექციის პრეზიდენტი (2005), საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი პრეზიდენტი (1997), საქართველოს ქირურგთა, საქართველოს ექიმთა და ეკროპის ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის წევრი, ეკროპაში ტრანსპლანტაციის კოორდინატორთა ორგანიზაციის წევრი.

გასული საუკუნის 50-60-იანი წლების ხაშურის ოეატრალური ცხოვრება წარმოუდგენდია ოქნიზ გრიგოლის ძე ინასარიძის გარეშე. იგი დაიბადა ქ. ხაშურში 1925 წელს, დამთავრა რკინიგზის ხაშურის №3 საშუალო სკოლა. მცირე ხნით ხაშურში მუშაობდა, ხოლო შემდეგ ჭიათურის მანგაბაურის მადაროში იწყებს მუშაობას. სამსახიობო მოღვაწეობას 40-იანი წლებიდან ეწეოდა. 1949-50

xaSuris istoriisaTvis (1693-2022 ვვ)

წლებში იყო ხაშურის სარაიონო კულტურის სახლის ბავშვთა სექტორის გამგე 1950-1954 წლებში გორის სახელმწიფო თეატრის მსახიობია, ხოლო 1954-1956 წლებში ჭიათურის სახელმწიფო თეატრში მოღვაწეობს. 1958-1959 წლებში ო. ინასარიძე ხაშურის რკინიგზის კულტურის სახლის დირექტორია, ხოლო 1960 წლდან ხაშურის სახალხო თეატრის რეჟისორი, სარაიონო კულტურის სახლის დირექტორი. 1967 წელს გადაიდის ჭიათურაში და მუშაობას იწყებს მაღაროელთა კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად. 1969-1981 წლებში ჭიათურის სახელმწიფო თეატრის მსახიობია. 1979 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება. 1981 წელს კვლავ ხაშურში ბრუნდება და გარდაცვალებამდე (1985წ) ხაშურის რკინიგზის კულტურის სასახლის დირექტორია. თამარ პავლეს ასული ინასარიძე დაიბადა 1954 წელს ხაშურში. დაამთავრა რკინიგზის №5 ხაშურალო სკოლა. გორის პედაგოგიური ინსტიტუტი, ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურის დასწრებელი განყოფილება. 1986 წელს დაიცვა საკან-დიდატო დისერტაცია და პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამცცნიერო ხარისხი მოპოვა, 1991 წელს კი პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. არის 30-მდე ნაშრომის ავტორი, მათ შორის რამდენიმე მოხვერაფიის. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ხაშურის საშუალო სკოლებში, ხელმძღვანელობდა ხაშურის დამოუკიდებელ უნივერსიტეტს. ბოლო პერიოდში ლექციებს კითხულობდა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ხაშურელი იყო დიდი ქართველი.

ველი მეცნიერი, ლიტერატურათმ-

კიგნაძე. იგი 1909 წელს დაიბადა. 1922-25 წლებში სწავლობდა ხაშურის I საშუალო სკოლაში. 1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1962 წლიდან იყო თხუ-ში ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. მისი ინტერესების სფერო მოიცავდა 6. ბარათაშვილის, ვ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და სხვათა შემოქმედებას. განსაკუთრებით დიდი წლიდილი შეიტანა ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში. თხუ დაარსა მისი კაბინეტი და წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა.

გარდაიცვალა 1974 წელს
2 ა. 11 წ. 1 ა. 3

დიმიტრი ალექსანდრეს ძე კიქაძე (დაიბადა 1917 წელს ხაშურში) ტექნიკო-
კის მეცნიერებათა კანდიდატი იყო (1965), მუშაობდა მშრელი იარაღის რაციო-
ნალური გამოყენების სათავო საპროექტო საწარმოო საკონსტრუქტორო-ტე-
ქნოლოგიური ბიუროს თბილისის ფილიალის დირექტორად. 1975 წელს
მეცნიერთა ჯგუფთან ერთად საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა
მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატი ტარიელ გიორგის ძე კიპარიძე დაიბადა ქ. ხაშურში 1948 წელს. დაამთავრა ხაშურის II საშუალო სკოლა (1965), თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი (1970). წლების მნილზე მუშაობდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოში რესტავრატორ-არქიტექტორად, ლუქიციებს კითხულობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. 1994 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ტ. კიპარიონის შექმნავებული პროექტებით საქართველოში რესტავრირებულია ისტორიისა და კულტურის არაერთი საფურადლებო ძეგლი (ნარიყალა, იქვე წმ. ნიკოლოზის ეკლესია, სურამის ციხე, კვერცხები, საშურის კოშკი და სხვა). არის შრომების აგზორი, რომელიც ქხება ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიას, ცალკეულ ძეგლებს.

1998 წელს დაჯილდოვდა „დირსების ორგენით“. ცნობილმა პოეტმა და აღმოსავლეთმცოდნებმ გიორგი ლობჟანიძემ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეობიდან მიიპყრო ქურადღება ქართული საზოგადოებისგან. დაიბადა 1974 წელს ხაშურის რაიონის სოფ. ნაბახტევში. 1991 წელს დაამთავრა ხაშურის I საშუალო სკოლა. იმავე წელს, როგორც ოქროს მედალოსანი და რამდენიმე უცხო ენის მცოდნე, რომელსაც ჯერ კიდევ მოწაფეობისას გამოცემული ჰქონდა პირველი წიგნი, უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნების ფაკულტეტის თემიტოლოგიის განყოფლებაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1996 წელს.

გიორგი ლობჟანიძე ბაგშვილიდან წერს ლექსბის.
1987 წლის 13 აგვისტოს პაატა ნაცვლიშვილის რედაქტორობითა და
ხელშეწყობით გამოქვეყნდა მისი ლექსების პირველი პუბლიკაცია გაზეთ „ახ-

1991 წელს გამომცემლობა „მერანმა“ დასტამბა მისი ლექსების პირველი კრებული „ობლის კვერი“, რომელსაც საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველწლიური ახალგაზრდული პრემია მიენიჭა. მეორე პოუზური კრებული „დელილის ტემპერატურა“ 1997 წელს იმავე გამომცემლობაში დაიბეჭდა.

მისი ლექსი „ვიდრე ერთმანეთს მოვახვეოდეთ“ 1995 წელს გამომცემლობა „ლომისის“ ყოველწლიური პრემიით აღინიშნა. გიორგი ლობჟანიძის ლექსები თარგმნილია გერმანულ, რუსულ, სპარსულ ენებზე.

1996-1999 წლებში სწავლობდა ოქირანის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეპარტამენტების ფაკულტეტების ასპირანტურაში, რელიგიის და მისტიკის სპეციალობით. აქ მოამზადა სადისერტაციო ნაშრომი „იესო და მარიამი ყურან-სა და კლასიკურ სპარსულ პოეზიაში“, რომელიც 2005 წელს დაიცვა თბილისში.

ამავე პერიოდში მუშაობდა თეირანში საქართველოს საელჩოს რეფერენტიად.

), მისი თარგმანების პირველი კრებული – დიდი სპარსი პოეტის ჯალილ ედ-დინ
რუმის „ყაჩაღები“ 1995 წელს გამოსცა ლიტერატურთა რესპუბლიკური ცენ-
ტრის გამოცემლობა „რუბიკონმა“. მან თარგმნა აგრეთვე აბუ საიდ აბულ-ხეი-
რის, აბულ-ალა ალ-მარის, ჰაფიზის, ჯამირ საადის, ანვარის, ომარ იბნ აბურამი-
ის, აბულ-ათაპიას, ნიზამ კაბანის, ადონისის, მაჰმუდ დარვიშის, მაჰმუდ თეიმურის,
ლალა ას-ნამინის, ხალილ ჯიბრან ჯიბრანის, მაჰმად სადეყის, მეჰდი აბაგან
სალესის, ფორუშ ფაროხსადისა და სხვა არაბი და სპარსი მწერალების პოეტუ-
რი და პროზაული ტექსტები.

ქველმოქმედება და ... მაღლიერება

ქველმოქმედება ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული საქციელია იმ უთვალავ საქციელთა შორის, რასაც ადამიანი, საბუნიეროდ, თუ სამწუხაროდ, ყოველ ნაბიჯზე სჩადის. სამწუხაროდ-მეთქი, იმიტომ ჩაგუროთ ნათქამს, რომ ადამიანის ნამოქმედარ-ზო ღირსეულზე მეტი უღირისი საქციელი ჩანს, ასე ეს და, მთიულებელს ჩვენს დროში, ამაზე დავა-კამათიც კი სრული უაზრობაა ...

ჰო, და ამ უღირს დროში, ღირსეულ საქციელთა შორის გამორჩეულად ღირ-სეული ნამოქმედარის დაუნახობა და მაღლიერების გამოხატვის დაყოვნება დიდი უზნეობა და ბოროტი შეურის აშკარა გამოხატულებაა, უთუოდ.

ქველმოქმედება ყველას არც მოეთხოვება და არც შეუძლია, რადგან სიქველე მამაცობის სინონიმია და შეუძლებელია, მამაცობა ყველას ახასიათებდეს, სიმამაცე რჩეულთა ღვთითბოძებული თვისებაა და მამაცური მოქმედება, ანუ ქველმოქმედება შეოლოდ ერთულებს ხელეწიფებათ.

არავის იმის ახსნა არ სჭირდება, რომ ქველმოქმედება ვინმესადმი უანგარო დახმარებას, ან რაიმე საზოგადო საქმეში ასევე უნგაროდ შეტანილ წვლილს გულისხმობს, აი, ისე, როგორც ერთ ქართულ ისტორიულ მორალურ სენტენციაში: „მადლი ჰქენი, ქვას დადევი, გაიგლი და წინ დაგხვდება“. რა დახვდება წინ მადლის მქმნელს, ნეტავი? მადლი? არა! ხალხური სიბრძნე იმას გულისხმობს, რომ იმან, ვინც მადლი მიიღო, მადლიერება უნდა დაახვედროს ქველმოქმედს, ადამიანის მოვალეობა ეს, თორებ ქველმოქმედი არაფერს ითხოვს მის მიერ ქმნილი მადლის სანაცვლოდ.

რა თქმა უნდა, ადამიანი სოციალური არსებაა და მოვალეობაც სოციალურია, საზოგადოებრივი მოთხოვნით განპირობებული, რასაც ზოგი ასრულებს, ზოგი - არა. მადლიერების გამოხატვა თუ მოვალეობად მიიჩნიე, მაშინ შეიძლება, მიზეზთა გამო, კიდევაც დაგავიწყდეს იგი: ამ გულმავიწყობამ შეიძლება, უხერხულ მდგომარეობაზი ჩაგაგდოს. ამიტომ, მოვალეობა კი არა, მადლიერების გრძნობა უნდა ჰქონდეს კაცს. ქველმოქმედების უნარიცა და მადლიერების გრძნობაც ღვთიურია, რაც ყველა ცოცხალ არსებას აქვს: ცხოველებს, ფრინველებს, მცენარეებსაც კი. ცხოველებმა რომ მადლიერების გამოხატვა იციან, ნეტავი, ადამიანმა იცოდეს ისე. მშიერ ძალის ერთი ლუკმა პური რომ გადაუგდო, წლების შემდეგაც გაგიხსნებს და კეთილგან-წყობას შემოგაგებებს.

ადამიანმა თვითონ თუ არ განიცადა ტკივილი და სიხარული, სიკეთის ქმნის სიხარული ან მის მიმართ გაკეთებული სიკეთის მადლი ან მის მიერ გაკეთებული სიკეთის შედევი - უმაღურობა, ისე ბოლომდე ვერ გაიგებს, ვერ ჩასწრება მადლისა და უმაღურობის ემოციური ზეგავლენის ძალას, გრძნობისმიერ შრეებსა და დანაშრევებს.

მე განვიცადე ის, რაზეც ახლა ვიღლაპარაპე, სამწუხაროდ, თუ საბეჭნიეროდ! სამწუხაროდ-მეთქი რომ ვთქვი, გასაგებია, ალბათ, ყველასათვის, მაგრამ ბევრმა შეიძლება, ვერ გაიგოს საბეჭნიეროდ - მეთქი რატომ მივაყოლე ნათქამს: იმიტომ, მეგობრებო, რომ მაშინ, როდესაც სრულიად მოულოდნელად, გამართული ორსართულიანი სახლი ცეცხლის სტიქიამ შთანთქა მოედ ჩემს ავლადიდებასთან ერთად, და ცის ქეშ დავრჩი და პირველად ჩემს სიცოცხლეში ისეთი უმწეო ვიყავი, რომ არ ვიცოდი, რა მექა, ასევე მოულოდნელად, ჩემს გვერდით განდა ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ჩემი მწუხარება კი არ გაიზიარა, არამედ თითქოს ჩემი მდგომარეობა შეტურდაო, მითხრა: „უფალს ყვარებისარ ასეთი განსაცდელი რომ მოგვიკლინა, ღმერთი ისეთ სიძლეში არ ჩაგდეს კაცს, რომლის დაძლევის ძალასა და საშუალებასაც არ მისცემს. მხოლოდ გასაჭირში ჩაგრძნილი კაცი გაიგებს, რა არის მადლი და როგორ უნდა მიიღოს და დაინახოს მოვალეობის თანადგომა და იგრძნოს მადლიერებით გამოწვეული სიხარული და იმედი.

ამას ის ახალგაზრდა კაცი ღიმილითა და სხივმომვინარე თვალებით მეუბნებოდა.


ეს კაცი ჩემი ახალგაზრდა მეგობარი გელა გელაშვილი იყო. არ ვიცი, რა მოხდა, სიტყვით ვერ გადმოვცემ მაშინდელი ჩემი მყისიერი მეტამორფოზის ფაქტს, მაგრამ ერთბაშად შევიცვალე, იმედი, მხერიბა, უახლესი პერსპექტივა, მოქმედების გეგმა და რწმენა ერთბაშად „დამატყდა“ თავს. არც ის დამვიწნია, რომ უნიკალური ბიბლიოთეკა, არქივი, საოჯახო ფოტოილობომბი, ახლადდამთავრული წიგნის ხელნაწერის (აღარაფერს ვამბობ ჩემს პირად თუ ოჯახისათვის აუცილებელ ნივთებზე)

ცეცხლმა შთანთქა. ეს დანაკარგი თითქოს უნგიანი ორშაურიანის ფასისა იყო. ახლა „ხვალე“ გახდა ჩემთვის მთავარი, როცა მანამდე ყველაზე ძვირფასი ჩემთვის წარსული იყო!

მე იმ ახალგაზრდისათვის არ მითქვაში ეს, რადგან ჩავთვალე, რომ იმ კაცის ენით ზეგარდმი მადლის ვეზიარე. დიდება უფალს!

იმ დღესვე ჩემს გვერდით განვიდნენ: ნათესავები, მეგობრები, ნაცნობები და სრულიად უცნობებიც. იმავე დღეს ჩემი ყოფილი ასპირანტის მამამ ბინა შემომთავაზა ხაშურის ცენტრში, ასევე შემომთავაზა ბინა ჩემმა მეგობრები და მეზობელმა, რომლებსაც გულითადი მადლობა გადავუხადე, საცხოვრებლად კი ჩემმა მძახალმა წამიეცანა თავისთან, სადაც წელიწადზე მეტხანს ვცხოვრობდი, როგორც საკუთარ სახლში.

მეორე დღესვე დაიწყო მოქმედება იმ ხილულმა და უფრო კი უხილავმა ძალამ, რომელიც ღვთის მადლით იყო ცხებული: გამოჩნდნენ ქველმოქმედები, ენ-



თუ ზიასტები, მოხალისეები და ... ახლა მიკვირს, როგორ შეწყობილად მუშაობდნენ ეს ერთმანეთისთვის ძირითადად უცნობი ადამიანები, თითქოს ორგანიზებული სამშენებლო ორგანიზაცია იყო. თავისი სამუშაოთა მწარმოებლით, არქიტექტურით, მომარაგების სისტემით ... ხაშურის მერი და მისი აპარატიც შეწუხებული იყო და რაც სახელმწიფო ორგანის შეძლო, დახმარება გამიწიეს. მადლობელი ვარ მათი და არც არასოდეს დავივიწყებ.

დიდხანს ვიფიქრე, როგორ გამომეხატა ჩემი მადლიერება იმ ქველმოქმედებისათვის, რაც, მართლაც, ფასდაუდებელია ჩემთვის მიერ გაწეული დანახარჯის მოცულობა კი არის (რაც, ცხადია, მნიშვნელოვანია), არა-ამედ ზნეობრივი მრწამსი, რომელიც გაკრისტალებულია თითოეულ მასს ნაბიჯში, თუნდაც იმ მატერიალურ ნივთებში, რაც ჩემთან მოდიოდა მათი გამომგზავნების ვინაობისა და სადაურობის გაუმჯდავნებლად. თუმცა, ღვთის მადლით, ყველა მათგანი ვიცი და ვაფასებ.

ახლა რასაც ვიტყვი მადლიერების გამომხატველ რიტორიკასთან, შეიძლება, შეუთავსებლადაც კი მოვეჩენორ, მაგრამ გურაბიშვილისა არ იყო, „ავს თუ ავი არ ვაწიოდე, მაშინ კარგსა რა დავარქო“. „ ჰო, და სახლი რომ დამეტვა, როგორც უკვე ვთქვი, ჩემმა მძახლებმა თავისთან წამიეცანეს ბორჯომში. გაპარტახებულ სახლ-კარს, ბუნებრივია, ტურები შეესოდნენ და რაც მეზობლებს ვერ ან არ მივაძრე, აღარ შემარჩინს, განსაკუთრებით ის, რაც რკინისა ან რკინანარევი იყო „წუთისოფელი ომია, ომი ფუტკრის და კრაზანის“. ისე, რომ იმ ბევრ „ფუტკრის“ ერთად „კრაზანაც“ გამოჩნდა, თუმცა კეთილმა სძლია, ღვთის მადლით ასე იყო და ასე იქნება მუდამ!

ახლა რასაც ვიტყვი მადლიერების გამომხატველ რიტორიკასთან, შეიძლება, შეუთავსებლადაც კი მოვეჩენორ, მაგრამ გურაბიშვილისა არ იყო, „ავს თუ ავი ვაწიოდე, მაშინ კარგსა რა დავარქო“. „ ჰო, და სახლი რომ დამეტვა, როგორც უკვე ვთქვი, ჩემმა მძახლებმა თავისთან წამიეცანეს ბორჯომში. გაპარტახებულ სახლ-კარს, ბუნებრივია, ტურები შეესოდნენ და რაც მეზობლებს ვერ ან არ მივაძრე, აღარ შემარჩინს, განსაკუთრებით ის, რაც რკინისა ან რკინანარევი იყო „წუთისოფელი ომია, ომი ფუტკრის და კრაზანის“. ისე, რომ იმ ბევრ „ფუტკრის“ ერთად „კრაზანაც“ გამოჩნდა, თუმცა კეთილმა სძლია, ღვთის მადლით.

ქედს ვიწრი ყველა ჭეშმარიტი ქველმოქმედის წინაშე,
ვინც არ უნდა იყვნენ და სადაც უნდა იყვნენ ისინი!

ზურაბ ცუცქირიძე

სოფელ ქვიშეთში დასუფთავების აქცია მოენც

ა(ა)იპ "ხაშურსერვისის" და სოციალური პროგრამის ფარგლებში დასაქმებულობით, ქვიშეთში მისასვლელი გზა დასუფთავდა.

დასუფთავების აქციები მუნიციპალიტეტში სისტემატიზურ ხასიათს ატარებს.

სასიამოვნოა, რომ მსგავსი აქციები მოენიცი აპლიკაციების მიზანი ეკოლოგიურად სუფთავ გარემოს შექმნაა.



მოქალაქეთა საყურადღებო!



ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია გაფრთხილებით, რომ სისი გარემოს ეროვნული სააგენტოს საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, მდინარე მტკვარზე, სოფელ ხალებთან დამაკავშირებელი ხიდი აგარიულ მდგომარეობაშია და კატეგორიულად აკრძალულია მისი ექსპლუატაცია.

გთხოვთ, ისარგებლოთ შემოვლითი გზით სოფლების: თაგვეთისა და ხცისის მხრიდან.

მუნიციპალიტეტის მერია აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას ამ საკითხზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ მუნიციპალიტეტის მერიას.

ცელი საზი: 0368241502

სურამში, ბაიანთხევის უბანში, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია გაგრძელდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ არაერთი შეკითხვა თუ პირადი შეტყობინება მიიღო სურამში, ბაიანთხევის უბანში, წყალმომარაგების სისიტემის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

როგორც რამდენიმე დღის წინაც გამოვაქვეყნეთ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების ქომპანია, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას აგრძელებს.

შესაბამისი სამუშაოების გაგრძელების ხელშეკრულებას ხელი წყალმომარაგების ქომპანიის დირექტორის მოადგილემ, ნინო ნაროზაშვილმა და ტენდერში გამარჯვებული ქომპანია, შპს „უნივერსალ სერვისი“-ის დირექტორმა იოსებ ბაზდაძემ მოაწერეს.

პროექტის ფარგლებში გვერდისუბნისა და ბაიანთხევის უბნებისთვის ეწყობა წყალმომარაგების ქსელები და რეზერვუარი. დამატებით, დაბა სურამისთვის მოეწყობა სატუმბი სადგური.

პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4 მლნ ლარი მოხმარდება.

პროექტის განხორციელების შედეგად, დაბა სურამში წყალმომარაგების კომპანიის აბონენტები, სტაბილური და ხარისხიანი წყალმომარაგებით იქნებიან უზრუნველყოფილნი.

მუნიციპალიტეტის მერია

ვაკაში, მეწყერსაშიშ ტერიტორიაზე, გამაგრებითი სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ეხმაურება TV ივერიას ეთერში გასულ ვიდეომასალას სოფელ ვაყაში მეწყერსაშიში ვითარების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტიდან ამ საკითხით არავინ დაინტერესებულია.

გვერს განვითარეთ, რომ სოფელ ვაყაში მეწყერსაშიში სიტუაციის მოვარების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიას გამოცხადებული აქვთ მიმდინარე ტერიტორია დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლების მშენებლობა/რეაბილიტაციის ხამრუქტო-ხახარჯთაღრიცხვის შედგენის შესახებ.

- იუმორი -

(ნამდვილი ამბავი)

პატრიკ თაიმსი - გაქართველებული ამერიკელი

„მშენდების კორპუს“ ჩამოყოლილი პატრიკ თაიმსი ამ 5 წლის წინ გამოჩენდა ხაშურში. ჯერ სკოლაში იმოღვაწა და მოსწავლეებს ინგლისურს ასწავლიდა, 6 თვეს გასვლის შემდეგ კი, რაის ამერიკა, აქედან წამსვლელი მე არ ვარო და კიდევ 3 წელი დარჩა ხაშურში. „აღფრთოვანება“ ის სიტყვა არ არის, რასაც პატრიკი ჩვენი ქალაქის და, ზოგადად, ქართველების მიმართ გამოხატავდა. პედაგოგობასთან ერთად მხატვრობა შეითავსა და ქალაქში დღესაცაა შემორჩენილი მისი კედლის მხატვრობები. პარალელურად, ქართველებას ითვისებდა. სამი წლის შემდეგ, იმდენად „გაქართველდა“, ენას ხომ სხლავდა, ტრადიციებიც აითვისა და ერთი სიამოვნება იყო იმის ცერეა, სუფრას როგორ თამაღობდა. როგორი ამბავია, ამერიკელი რომ წამოგება და იტყვის: ჩვენს წინაპრებს გაუმარჯოს, ფარნაგაზიდან მოყოლებული და ილიათი დამთავრებულიო. ამ „ჩვენს“ მართლა გულით ამბობდა და ეს იყო სასიხარულო. შეიძლება იმ „ჩვენში“ თავის „ჩვენსაც“ გულისხმობდა, თუმცა ხმამაღლა არ ამბობდა. ან რომ ეთქვა, მაშინ ინდიელთა ბელადი მონტესუმა და მისნაირები უნდა ეხსენებინა და ხვდებოდა, თამარ მეფესთან, დავით აღმაშენებელთან და სხვებთან მათი გაიგივება, რბილად რომ ვთქვაო, უხერხული იქნებოდა. მოკლედ, კაი ქართველი „პურისმჭამელი“ დადგა ეს ჩვენი პატრიკი.

ბოლოსდაბოლოს, ამოწურა ვადები პატრიკს და დაბრუნდა თავის



გზა კეთილმოეწყო

დასრულდა ხაშურისა და სურამის დამაკავშირებელი (შემის ქარხნის დასახლების მიმდებარები) გზის სამუშაოები.

აღნიშნული გზით სურამთან დაკავშირება უკვე უსაფრთხო და კომფორტულია.

ადსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის თხოვნით მოწესრიგდა შემის ქარხნის დასახლებისა და შინდარის უბნის დამაკავშირებელების მცირე საფეხმავლო მონაცემთიც, რაც პროექტით გათვალისწინებული არ იყო.



საქართველოს რესიტაციური ბანკის ინფრასტრუქტურული სამინისტრო

საპროექტო სამუშაოების დასრულებისთვისავე დაიწყება შუშალოდ ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებაზე კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი პროცედურების დაცვით.

ამასთან, მუნიციპალიტეტის მერია მჭიდრო კომუნიკაციაშია სოფლის მეწყერებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურთან, რათა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები დაიგეგმოს და განხორციელდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული კადანიფიციური გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე.

შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია განცხადება, რომ მუნიციპალიტეტი არ დაინტერესებულია სოფელ ვაყაში არსებული მეწყერსაშიში ვითარებით.

მუნიციპალიტეტის მერია

ამერიკაში. თუმცა, ურთიერთობა რა შეუწყვეტავს ხაშურლებთან. კვირაში ერთხელ მაინც ეხმანებოდა და იყო ერთი მიკითხვები - მოკითხვები. ერთ-ერთი ზარი კი ნოემბრის დასაწყისში განხორციელდა. პატრიკი ცოტა აღლევდა რეკავდა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

კაცი (ასე იწყებდა საუბარს), ველარ გავიგე რა ვწნა, ორასი სუფთა ჩავასხი, ასი - ჭაჭაზე დავაყენე, ორივე დადუღდა და უკვე უნდა გადავიდო თუ ცოტა ვაცადო... რეკომენდაციების ბოლოს კი დაამატა: ზაფხულში მოვდივარ, ოცანი მომაქვს, უნდა გაგასინჯოთ, ღვინო ჩემი და „ცოცხალი“ თქვენიო...

პირი, ელოდებიან ამ ზაფხულში. როგორი საყურებელი იქნება, სუფრის თავში რომ დასვამენ და ყანწით ხელში კაი „ჩაკრულოსაც“ დასცხებს ეს მართლა ჩვენი პატრიკი.



გოგი გოგოლაძე

„ლედი“ - გერმანული წაგაზის მეტისი, რომელიც ფეხბურთზე გიჟდება

კაცი რომ ექვსათეულ წელს „ჩაგრიალებს“, ათას ქარტეხილში გაივლის, თავზე დოლაბს არ დაიტრიალებს, მაგრამ არც უდოლაბოდ უვლია ეს წლები,



კი იტყვის - აწი რამ უნდა გამაკვირვოს, მაგრამ, თურმე, სად ხარ! ზედმეტი შესავალ-შემოსავლებით, რომ არ დავდალო მკითხველი, პირდაპირ სათქმელზე გადავალ: ძალის მეტი რა მინახავს ცხოვრებაში - ყველა ჯიშის, გენის თუ „ეროვნების“ „მყეფარას „გავცნობივარ“, ან, ბოლოს სდაბოლოს, ენციკლოპედიურ ცნო-ბარებში მომიძიებია ინფორმაციები მათ შესახებ. გავუოცებივარ მათ უსაზღვრო ნიჭის, როდესაც გარკვეული წვრთნის შემდეგ, საოცარ შესაძლებლობებს ავლენენ, მაგრამ არსად მინახავს, რა მინახავს, არც მსმენია, რომ ძალი ფეხბურთზე იყოს გადარეული. მეტვება, ამ „არმნახველთა“ სიაში მარტო მე ვიყო. დარწმუნებული ვარ, აბსოლუტურით უმრავლესობაა ასე. თუმცა, არა ჩვენი ქალაქის მცხოვრებლები,

– აპოლონიადა- 2023 –

ხაშურელი ბავშვების დიდი წარმატება საერთაშორისო ფესტივალზე

19 მარტს ქუთაისში, ოქერის თეატრში საერთაშორისო ფესტივალი „აპოლონიადა 2023“ ჩატარდა, სადაც მონაწილეობა მიიღეს რეგიონების კოკალურმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა.

„ვესტიგალზე „პოლონიადა 2023“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის
და ააიპ კულტურის, ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების
ცენტრების გაერთიანების ფინანსური მსარდაჭერით და ტრანსპორტირების
ხარჯების დაფინანსებით, ხაშურის შემოქმედებითი ცენტრის ვოკალური ჯგუ-
ფი „თოლია“, გაემგზავრა პედაგოგ ლია იმერლიშვილის ხელმძღვანელობით.
გოგონათა და ვაჟთა ვოკალური ჯგუფი უმცროსება და უფროსება თაობებმა
წარმოადგინეს. შეასრულეს საესტრადო სიმღერები, 4 ნომერი. პატარების
ჯგუფმა წარმოადგინეს ყანჩელის „ქაფზა და აგური“ და ვახო კახიძის „ანო
და ვანო“. უფროსებმა კი ცაბაბაძის „ჩემო თბილის ქალაქო“ და ყანჩელის
„ის აქ არი“. ვოკალურმა ჯგუფმა დირსეულად წარადგინა ხაშურის რაიონი,
ვოკალური ჯგუფი „თოლია“, მხურვალე ადლოდისმენტებით, სამახსოვრო სიგვ-
ლებით, მედლით და ვარსკვლავით დაგვიძრუნდა.

„-როგორც წარმატებულ ჯგუფი, რომელიც დირსეულად წარსდგა ფესტივალზე, ყველა ბავშვისათვის გადმოგვეცა დიპლომები, და ჯგუფს კი ვარსკვლავი. დიპლომით დაჯილდოვდა ასევე ჯგუფის პედაგოგი და მიგვი-წვიეს ერევანში საერთაშორისო ფესტივალზე ამ ზაფხულს. იმედია, რომ წასვლას შევძლებთ. რა თქმა უნდა შეუდარქებელი იყო ემოციები. კმაყოფილები და აღფრთოვანებულები იყვნენ ბავშვები, მშობლები, შოთბეჭდავი იყო მათ-თვის ოპერის დიდ სცენაზე სიმღერა... შეიძლება ითქვას, რომ პანდემიის შემდეგ მათთვის პირველი სასცენო გამოსვლა იყო. ვეგმავთ აქტიურ მუშაობას ვოკალური ჯგუფი, მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობებში, მონდომებულნიარიან ბავშვებიც...“- ამბობს პედაგოგი ლია იმერლიშვილი.

რომლებისთვისაც ფეხბურთზე გაგუბული ძაღლი უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა.

„ლეიდის“ ყველა ცნობის ხაშურში. ნუ, თუ ყველა არა, ნაზევარი ქალაქი - ნამდვილად. „ლედი“ გერმანული შავი ნაგაზის მეტისა, რომელიც ამ 2-3 წლის უკან გამოჩნდა ქალაქის ქუჩებში. არავინ იცის, საიდან მოვიდა, არც მისი „ბიოგრაფიაა“ ცნობილი, თუმცა ის კი ყველამ იცის, რომ ესაა მსოფლიოში აღბათ, ერთადერთი ძალი, რომლისთვისაც ფეხბურთი ცხოვრების ნაწილია. უფრო დაგონერეტდები: ფეხბურთი და ხაშურის „ივერია“. აი, ასე - არც მეტი, არც ნაკლები!

ყველასთვის ამოუქსნელი ფერომენია, როგორ გებულობს მატჩის დღეს. და რომ გებულობს ფაქტია: ოუ დანარჩენ დღეებში „ლედის“ კონტურსაც ვერ დაინახავთ „ივერიის“ სტადიონის მიმდებარედაც კი, მატჩის დღეს, დილის 9 საათიდან, „ლედი“ უკვე სტადიონზეა. თვალებში აუხსნელი სიხარული უბრწყინავს და მოთმინებით უცდის თამაშის დაწყებას. მერე რა, რომ ასე ადრე მივიდა, მერე რა რომ თამაშიძე ამდენი დროა დარჩენილი. მანამდე ათასი საქმეა. ჯერ სტადიონის მომწესრიგებლებს უნდა დაეხმაროს - ან ხაზი იყოს გასავლები, ან ბადე მოსაწესრიგებელი. ყველას გვერდითაა - მიყენება და მოყენება. მერე ივერიელებიც გამოჩნდებიან - გასახდელამდე ხომ უნდა მიაცილოს? მერე, სავარჯიშოდ გამოსულებს მინდვრამდე ხომ უნდა უკავალოს? აბა! იცი, რომ მის გარდა ამ საქმეს არავინ გააკეთებს.

და აი,იწყება თამაში და იწყება „ლედის შოუც“. ერთხელ გააფრთხილეს, რომ თამაშის დროს, მინდოოზე შევარდნა უზნეობაა და იმის შემდეგ ამას აღარც კადრულობს. მოედანს შემოვლებული რკინის ბადეების მიღმა ტერიტორიაა მისი არეალი. მთელი ორი ტაძი სადაც ბურთია, იმ მხარესაა „ლედიც“, რა ენერგია აქვს ასეთი, მაგრამ „ივერიის“ და ფეხბურთის სიყვარული აძლევს ამ ენერგიას. გოლის მომწოდი კი მისი შოუს მწვერვალია - რამდენიმე მალაყის შემდეგ, ლობეზე შემოდებს თათებს და ხმამაღალი ყეფით ულოცავს გოლის გამტანს. თუ ჩვენს ფეხბურთელს უხეშად ეთამაშნებ, ეს კიდევ ცალკე სანახაობაა: გამწარებული აწყდება ცხაურს და პირდაპირ ყეფით უგენება დამნაშავეს, თუ ხელში ჩაგივდე, ისე დაგეხებ, მთელი ცხოვრება დაგამახსოვრდებაო.

აი, ასეთია ჩვენი „ლედი“. ახლა მას კუთვნილი შეგბულება აქვს - ჯერ ახალი სეზონი არ დაწყებულა. სადღაც ათ დღეში კი პირველი თამაშებიც დაიწყება და „ლედიც“ საკუთარ ადგილს დაიკავებს. სიმართლე გითხრათ, სულო ცოდვილო და „ივერიის“ მუდმივი გულშემატკივრები ისე შევეჩვიეთ „ლედის შოუებს“, მის გარეშე რაღაც სიბლი დაკლდება კიდეც თამაშს.

დაბოლოს, გულშემატკივრებმა ის როული თეორემაც გაშიფრეს - როგორ გებულობს მატჩის დღეს და საათს „ლედი“? ეს ერთი ძველი გულშემატკივრისა-გან მოვისმინე და ოქმორთან ერთად, შეიძლება სიმართლის მარცვალი ერთოს მის ნააბბობში: „ლედი“ ქალაქში გამოკრულ „ივერიის“ თამაშის ანონსის აფიშასთან იყო ჩაცუცქელი და მთელი ათი წუთი მისჩერებოდა, მე მგონი, კითხულობდაო...

აი, ასე! თუ იაპონელებს ის ცნობილი „აჩი“ ჰყავდათ, რომელიც რკინიგზის სადგურზე ათი თუ თორმეტი წელი ელოდა პატრონს, ჩვენ „ლედი“ გვყავს, „ლედი“, რომლისთვისაც ფეხბურთი სიცოცხლეზე მეტია.

გოგი გოგოლაძე

ვესტიგალ „აპოლონიადა 2023-ში“ ვოკალურ ჯგუფ „თოლიასთან ერთად გაემგზავრა მონაწილეობის მისაღებად ხაშურის შემოქმედებითი ცენტრის ვოკალური ჯგუფი „ქართლი“ გოგი შებითიძის ხელმძღვანელობით, რომელმაც ასევე დირექტორი წარადგინა ჩვენი ქალაქი. ვოკალური ჯგუფი „ქართლი“



თლიც“ მხერვალე აპლოდისმენტებით, სამახსოვრო სიგელებით, მედლით და გარსკვლავით დაჯილდოვდა.

თეა ახალგაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაშურიძე ქადაგ ნ. 27 საქართველოს კოდი: 749547499.

ပြ-ဝမ မန်းမြန်မာလေ ၂၅၁၄၉၈ ဖြစ်ခဲ့သည်။

აპრილი 1934, 455.